სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/361

ქ. თბილისი 21 ნოემბერი 2019

სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტ გიორგი ომსარაშვილის კვლევითი პროექტის დაფინასების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტის, გიორგი ომსარაშვილის კვლევითი პროექტი „ახალი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის შემუშავება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების ნახევრად არიდული ზონის ურბანული ტერიტორიების წყალმომარაგების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით“ დაფინანსდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 9 600 (ცხრა ათას ექვსასი) ლარით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**